სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარიელნო ყველა კეთილისა, შეერთდით!

შაბათი 9 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთი დგება: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავე პირადი-მოწერის კისრულობს.

ხელის მოწერილებმა [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ [illegible] № 199. Редакція „Единая [illegible] გამოგზავნილ [illegible]

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის [illegible] ოფიციალური, [illegible] № 12. Тифлисъ. [illegible] № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 242 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 242

ირაკლი გიორგის ძე წერეთელი, ელენე გიორგის ასული დიმოლონი, ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა და ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები გულ წრფელ მადლობას უძღვნიან ყველა მათ, ვინც პატივი სცა

ლევან გიორგის ძე წერეთლის

ხსოვნას.

---

6 ნოემბერს, ქ. ფოთში საკუთარ სახლში გარდაიცვალა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი

თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა,

რასაც უღრმესი წუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის დედა კესარია, მეუღლე ბარბალე (ბალუ), შვილები: გიორგი და დარია და ძმები: თოფი და პიტერი გიორგის ძენი კეშელავები.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამცხადებული.

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სამგზ, ბამეგობა და მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ექვს ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, ფოთში საკუთარ სახლში გარდაიცვალა საზოგადოების გამგეობ ს დირექტორი

თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა.

ფ ოთის ქართულ საამშენებლო, სამრეწველო და საგაჭრო საავციონერო საზოგადოების „ოქროს-ვერძის“ სამგზ და გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქ ფოთში საკუთარ სახლში გარდაიცვალა ამავე საზოგადოების გამგეობის დირექტორი

თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა.

ორმათ დამწუხრებულნი შვილები: იოსები და პარასკევა, ბებია ნინო, დები მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძიაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან-მოკლე სენით ძმა ევთიმე ავთმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

თამრო გოკაშვილი.

მეოთხე კლასის მოწაფე, გარდაცვალება მოხდა 2 ნოემბერს, დასაფლავებულ იქმნა 4 ნოემბერს. ქ თელავში შვიდის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი მის საფლავზე, ქალაქის სასაფლაოზე.

გადახდილი მის საფლავზე, ქალაქის სასაფლაოზე.

ალექსანდრა სიმონას ასული და შვილები: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალია სევერიანის ასულნი ჯიფალები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავთმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დასწული, მეორეების დედიდაშვილი

თამრო გოკაშვილი.

შვიდის წირვა და პანაშვიდი დღეს 9 ნოემბერს ქ თელავში, მის სასაფლაოზე.

პალადია (პაშა) ფარნაოზის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, ივანე სოლომონის ძე ბეგიაშვილი და ანასტასია ივანეს ასული ხერიტლაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 ნოემბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე დღის 12 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

სოლომონ (სოლიკო) ივ. გეგთაგეგიშვილის

ულის მოსახსენებლად.

თფილისის რკ. გზის სადგურის გადამწონელთა სექცია ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს აშხანაგ

ვასილ ილარიონის ძე ლაგვაკინის

უდროოთ დაკარგვის გამო, რომელიც თავდადებული მუშა იყო ჩვენს სექციაში».

გულ-დამწყარნი: ბაბუა ილ. ეპიფანე, მშობლები ნადეჟდა და დათიკო ხონელიძეები; ბებია პისტი შალიკაიშვილისა, ბიძები ევსევი, ვანო, სევერიან და ბიცოლა ბაბუცა შალიკაიშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პატარა

ფუტასი.

მიცვალებული დასაფლავებულ იქმნა ხაშურაბათს, 5 ნოემბერს (ახ. სტილით) სამგზის ეკლესიის გალავანში.

ულ დამწყარნი მამიდა, პლატონი და მიხეკო ელიავიები თავისი პატარა ვალიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პატარა

ფუტა ხონელიას

უდროოდ გარდაცვალების, რომლის დასაფლავება მოხდა ს. სამგებაში, საფლავის გალავანში, ბუთ ნოემბერს.

ულრმად დამწუხრებული შეუღლე პატრონა, დედა ირინა, ბაბა ამბაკო, ძმები: ილარიონ, გრიგოლ და ალექსანდრე, დაი ელპიტა, რძლები: მარა, ეფრია და ნანა ეფენტები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ანტონ ამბაკოს ძე ეფენტი.

დაკრძალვა წარმოებდა ს. სამებაში.

ქართულ კლუბში

ხამშაბათს 12 ნოემბერს,

გაიმართება ფრიად საინტერესო არაჩვეულებრივი

რაჭულ საღამო

სადაც მონაწილეობას მიიღებენ რაჭველთა ყველა საუკეთესო ძალები.

საღამოს შინაარსი: 1) სიტყვა რაჭველებზე, 2) ბალბური ლექსების პოეზია, 3) ისტორიული სიმღერები, 4) სტენარია დაკვრა-ცეკვანი, 5) ფერხული, 6) თარი, 7) ცეკვა თამაშა და სხვა...

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის კასაში.

საღამოს მთავარი გამგე ევგენი ლვალი.

დაბმუხრებული ჭირის უფალნი ვარდენ გრიგოლის ძე, ნინო ოსების ასული, ნადეჟდა მორეისის ასული, გრიგოლ ვარდენის ძე, ანნა ვარდენის ასული და ალექსანდრე ვარდენის ძე ბუხნიკაშვილები მადლობას სწირავენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელთ და მოწაფეთ, 31 ოქტომბერს ხაშურში უდროოდ გარდაცვლილ პირველ ორთა შვილს, მესამის მაზლისა და დანარჩენთა საყვარელი ძის, ხაშურის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

სვიმონ ვარდენის ძე გუხნიკაშვილის

ხაშურშიდე 2 ნოემბერს დასაფლავებაზე დასწრებით პატივისცემისათვის.

ბ-ნ ჯაფალიანის როლი საქართ. რესპუბლიკაში

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში ჩვენ ადგენაშნეთ ის ღალატი ახსნილი, სიცრუეზე და პროვოკაციაზე დაყრდნობილი აგიტაცია, რომელსაც აწარმოებს „დაშნაკცუტიუნი“ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ დავინახეთ, როგორ გამოიყენეს მათ ლტოლვილთა უბედურება ქართველთა და სომეხთა შორის ღვარძღის და მტრობის დასათესავად. უწინდელი განწყობილება და კეთილმეზობლური ურთიერთობა ქართველთა და სომეხთა შორის ლაშის არის მოუწამლოს და მტრობა სიძულვილს დეთესოს ადგილი. ორივე ერის დემოკრატიას, რომელზედაც ეწარებოდა ეს კეთილშობილური განწყობილება, შეგნებული უნდა ჰქონდეს ის საფრთხე, ის საშინელება, რომელსაც უშზადებს ჩვენს ხალხს „დაშნაკცუტიუნი“ და ყოველი ზომა უნდა მიიღოს მათ დეარძღიან პოლიტიკის გასაბათილებლათ. ორივე ერის ყველა „ცოცხალი ძალები“ უნდა შეერთდეს, რომ თავიდან აიცილონ ხალხს ის სიკვდილისა და ხოცვა ქლეტის აჩრდილი, რომელიც „დაშნაკცუტიუნმა“ სომეხთათვის რაიონებიდან ახლა სომეხ-ქართველთა შუა შემოიყვანა.

ორ მეზობელ ერთა მორიგების და მათ შორის შეგობრობის განმტკიცების საქმეში დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო დიპლომატიურს წარმომადგენლობას. მაგრამ დღევანდელი სომეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში, ბ-ნი ჯამალიანი საშეუსაროთ, სავსებით იზიარებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენში „დაშნაკცუტიუნი“ აწარმოებ. მისი მოქმედება როგორც შინ, აქ, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის გარეთაც მიმართულია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. შინ შეურიგებლობა, პროტესტები ჩვენი მთავრობის განკარგულებების წინააღმდეგ, გარეთ—აგიტაცია ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, ტყვილი და დამახინჯებულ ცნობების გაგზავნა ევროპაში და რუსეთში მტრული განწყობილების მოსამზადებლათ საქართველოს რესპუბლიკასადმი.

ბ. ჯამალიანის „შინაურ“ პოლიტიკის გასაშუქებლათ ავიღოთ თუნდაც ის დავა, რომელიც სწარმოებს საქართველოს და სომხეთის დიპლომატებს შორის სომეხთა იარაღის საკუთრების საკითხის გამო. ვინც კი ამ საქმეს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ საკითხში დიდი თავშეკავება და პატივისცემა გამოიჩინა სომეხეთის რესპუბლიკისადმი. თუმცა ბორჩალოს მაზრაში ორივე რესპუბლიკის ჯარები ერთი ერთმანეთის სამტროთ იყვნენ ამზედრებულნი, მაგრამ ჩვენს მთავრობას ერთხელაც არ შეუტანია ამაში, რომ სომხის ჯარის თფილისში მოთავსებული საწყობები უნდა სომხის ჯარსვე დაებრუნებინა. ერთს პატარა რაზეს მოითხოვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა: რომ ეს საწყობები შეინახოთ გადახდილად იქნეს შუა ქალაქიდან, სადაც ისინი აფეთქების მხრით საშიშროებას წარმოადგენენ, ქალაქ გარეთ, არსენალში: გადასატანათ კი, რასაკვირველია, საჭიროა ეს საწყობები ვა ხსნის და იქ მოთავსებული ნივთები გადითვალოს და ჩაიწეროს და აი ამას, არ ვიცით, რა მოსაზრებით, ეწინააღმდეგება ბ. ჯამალიანი. ეს მის მხრით უსერო პირველეულობაა, თუ კი ამ პირველეულობაში სხვა რამ „დაშნაკური“ განზრახვა არ იმალება. ეს პირველეულობა მასთან ერთად დიპლომატიური უპატივცემულობაა საქართველოს მთავრობისადმი; ეს საქართველოს მთავრობის შინაურ საქმეებში ჩარევაა, რადგან ბ ნ ჯამალიანზე უკეთესათ მან უნდა იცოდეს, სად უფრო მოსახერხებელია ასეთ-ეთ ეგზეთ მასალის და თოფ-იარაღის საწყობების მოთავსება საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქში.

ბ. ჯამალიანის „სიგარეო“ პოლიტიკის ნაზეში გუშინდელ გაზეთებში იყო მოყვანილი. მის გაგზავნია კიევში იქაურ „სომხეთის რესპუბლიკის კომისარიატისათვის“ წერილი, რომელშიაც ატყობინებს მას, რა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ სომეხი ლტოლვილნი იმის გამო, რომ ერთის მხრით ოსმალები მათ არ უშვებენ იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გამოიქცენ; მეორე მხრით, „საქართველოს მთავრობაც მათ ნებას არ აძლევს, რომ ისინი სხვა ადგილებში დასახლდნენ“. მის გამო ბ. ჯამალიანი „სთხოვს კიევის კომისარიატს ეს ფაქტები გამოაქვეყნოს საზოგადოებრივ აზრის საყურადღებოთ“.

ბ. ჯამალიანმა ყველაზე უკეთესათ იცის რა დიდი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს მთავრობამ სომეხ ლტოლვილებს; მან ყოველი ხერხი იხმარა, რომ ოსმალები დაეთანხმებინა სომეხ ლტოლვილთა უკან დაბრუნებაზე; ისიც იცის ბ. ჯამალიანმა, რომ ამ ლტოლვილთა დიდი რიცხვი თფილისში და საქართველოს სოფლებში ჩაესახლა, მაგრამ საქართველოს მთავრობას ამის წინააღმდეგ ზომები არ მიუღია, თუმცა ეს ჩასახლება ძალიან საშიშია; დამოლოს, ბ. ჯამალიანმა ყველაზე უკეთესათ იცის, როგორ ცდილობდა საქართველოს მთავრობა ლტოლვილთა ერთი შესაფერი სომეხეთის რესპუბლიკის შეეფარებინა და როგორი გადაჭრილი უარი მიიღო მან სომხეთის მთავრობისაგან. იცის ყველაფერი ეს ბ. ჯამალიანმა, მაგრამ მაინც ევროპის სახელმწიფოებს აყრუებს ყვირილით, შეხედეთ, საქართველოს მთავრობა ისე ეკვეა სომეხ-ლტოლვილებს, რომ ამას აუცილებლათ მათი გაძევება მოჰყვება. ეს საქციელი წარმოადგენს ერთს ნაბიჯს იმ ცილის წაყენებაზე დამყარებულ აგიტაციისას, რომელსაც „დაშნაკცუტიუნი“, რუსტოველი ჩალხუშიანები და ძმანი მათნი აწარმოებენ ევროპაში და რუსეთში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ ბ. ჯამალიანმა უნდა იცოდეს, რომ ის, რაც უპასუხისგებლო აგიტატორებს ეპატიებათ, დიპლომატიურ წარმომადგენელს არ ეპატიება. დიპლომატიურ წარმომადგენლის დანიშნულებაა—ურთიერთობა ორ სახელმწიფოთა შორის მოაგვაროს და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს. თუ დიპლომატიურმა წარმომადგენელმა პარტიული პოლიტიკანობა დაიწყო და ორ სახელმწიფოთა შორის უთანხმოებას გარღვევას ემსახურა, იგი დიპლომატიურ წარმომადგენლათ ალარ ვარგა,

სომხეთის ვაჭილთა პილო

ის გაზეთებში, რომელთაც სომხეთის ვეგეტალობა აქვთ ნაკისრი საქართველოს რესპუბლიკაში, ყველაზე მეტად ამირებული წერის კილო გაზეთ „კავკასსკოე სლოვოს“ ს დასჩენდა.

ჩვენი რესპუბლიკისადმი ეს გაზეთი დღემდეც არ ყოფილა შეგობრულად განწყობილი, მაგრამ რასაც ამ უკანასკნელ დღეებში სწერს ის, მართალი მოგახსენოთ, წინათ ჩვენ მის ფურცლებზე არ ამოგვიკითხავს.

წინეთ ამ გაზეთში სომხეთის მთავრობის, უკეთ რომ ვსთქვათ, დაშნაკცუტიუნის პარტიის დაცვას წვრილ ფეხა მწერლები გწეოდენ, რედაქცია ამ დროს თითქოს განზე იდგა, თავი დინჯათ ეჭირა, სხვებს თითქოს საშუალებას აძლევდა აზრის გამოთქმისას. ეს მწერლები კი, ეიდგენ რა ოპოზიციაში ჩვენს მთავრობას, ფაქტების დამახინჯებას, აშკარა დაცინვას არ ერიდებოდენ!..

დღეს ამავე როლში თვით რედაქცია გამოდის. და ასეთ მოღვაწეობაში ის თავის მწერლებსაც აჭარბებს!..

რაშია საქმე, რა მოხდა?

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის ალნუსხვას, თუ რა ძალა შეეშალა „კავკასკოე სლოვო“-ს ჩვენს მთავრობასთან ბრძოლაში ან რაში გამოიხატება ჩვენი მთავრობის დასუსტება— ჩვენ გვსურს ორიოდე ფაქტი ალვნიშნოთ იმის შესახებ, თუ როგორ ამბობენ „კავკასკოე სლოვო“ სინამდვილეს:

გაზეთი ეხება სანაინში ჩვენი მოსაზღვრე რაზმის მიერ სომხის ეშელონის დაკავებას, აღნიშნავს თუ რა წვალებას განიცდის თფილისში ახსენებული სომხეთის დიპლომატიური მისია, სომხეთის კუთვნილი სამხედრო თუ სხვა ქონების გასატანათ, უპირდაპირებს საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას ოსმალეთთან, რომლის ტვირთს—ნავთს, მაზუთს და სხვას—დაუბრკოლებლიდ გეზავნის თურმე ჩვენი მთავრობა ალექსანდროპოლში და შემდეგ დასკვნას აკეთებს: „მთელი ეს საეჭვარო ისტორია დამახასიათებელია საზოგადოების ზოგიერთი წრეებისა. იმის შინა, რომ არ დაპკარგონ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი სომხის რესპუბლიკის ქონება, ერთის მხრით, და მეორეს მხრით, მისწრაფება იმისადმი, რომ ყველაში დაინახონ ისეთი პირები, რომლებიც ძირს ფუთხრიან დამოუკიდებლობას, ჭეშმარიტათ ჭმნის ისეთ პირობებს ხელოვნურათ, რაც აღმოაცენებს არა მეგობრულ განწყობილებას. ავადმყოფური ეჭვიანობა და არ არსებულ შეთქმულობათა აჩრდილი ვითარდება ამ წრეებში, შეტის სიძლიერით ჭმნის ადელვებას, რაიც შესაძლებელი იყო თავიდან აეშორებია კაცს „გარეშეეთან“ და თავიანთ მოკალაქეებთან ლოიალური დამოკიდებულებით. ამისთვის საჭირო იყო თავის-თავის ისე დაჭერა, რომ სხვაში გამოიწვიო ნდობა და ენდო სხვას ლოიალობაში.

როგორ უნდა მოიქცეს მაგ. ჩვენი მთავრობა, რომ ძველს ხიდის ამფეთქებლებმა და იმ წრეებმა, რომლებიც ამ ბოროტ-მოქმედთ ასულდგმულებდა, ნდობით მოეპყრას ჩვენს მთავრობას, ჩვენს დამოუკიდებლობას? იქნება ძველის ხიდის აფეთქება „კავკასკოე სლოვო“-ს „შეთქმულობის აჩრდილათ“ მიაჩნია? „კავკასკოე სლოვო“-ს კარგათ მოეხსენება, რასაც სწერს. მას ჰსურს მხოლოდ ერთი რამ: ქართველი საზოგადოება, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცველნი გულუბრყვილოებათ მონათლოს. არა გვგონია, რომ მან ასეთი ლოთაიერით ჩვენი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს!

საფრთხილო არაფერია—გვეუბნება „კავკასკოე სლოვო“.

ვაცნობთ თქვენს **თეორს** კბილებს და **შაგს** გულს. აი რა არის ჩვენი პასუხი!

თუ რა ვაჩარი ჩვენში ჯარია სანაინში, ამის შესახებ „სახალხო საქმე“ აი რას გადმოგვცემს: „ჩვენს გაზეთს გუშინდელ ნომერში მოთავსებული ცნობა სადგურ აირუმიდან ბ-ნ კაპიტან დადგბულიძისაგან გამოგზავნილი სომეხთა ეშელონების შესახებ, რომელნიც ლტოლვილების სახით ერევნისაკენ მიეგზავნებოდნენ და თან საქონლის საში მატარებელი საეჭვოდ დამეტებული მიჰქონდათ. როდესაც სომეხთა მატარებელს გაუვლია, ჩვენს ნაწილებს სანაინში ძ�ar საჭვოდ მიუნგვიათ დამეტებული ვაგონები და მოუთხოვნიათ მოწმობა, თუ რა მიჰქონდათ სომხებს ერევნისაკენ. მოწმობა ვერ-ვ. ეგდგანიშვილისაგან ყოფილა ხელმოწერილი, მაგრამ ბეჭედ დაუსვამდა. მოწ. ჩამოთვლილი ყოფილა, რომ სომხებს უნდა გაეტანათ 129 ვინტოვკა, ლობიო და სხვ. თუმცა ერთ ორს უფროსს ჩვენის ნაწილისას ნება მიუცია სომხებისათვის, მაგრამ ეგეც ჩხრეკლად ვაგონების გატანების წინააღმდეგი ყოფილა საგუბერნიო მატარებლის ნაწილი. კარგი ხანს თათბირის შემდეგ გადაუწყვეტია ვაგონების გაჩხრეკა და ყველას გაოცებად ორიოდე ეზოვნებში ვაგონში, რომელთა წაღების უფლება არა ჰქონიათ სომხის ეშელონებს. უნახავთ, რომ იარაღი იმაზე მეტი იყო, ვიდრე მოწმობაში იყო აღნიშნული, ლობიოში ჩამალული აღმოჩენილა ერთი ტყვიის მფრქვეველი, მეორე ვაგონში აღმოჩნდა 800 ფუთამდე შაქარი და დიდძალი ჩაი, თამბაქო ტ რკინის საფულე ყუთი. სულ არა ნაკლებ ორი მილიონის ღირებულებისა. მალევე სანაინში დაბრუნებულა გენერალი წულუკიძე, რომელსაც ეშელონებისათვის ჩამოერთმევინა შაქარი, ჩაი, თამბაქო, ტყვიის მფრქვეველი და დანარჩენები, თანახმათ მთავრობის ნებართვისა, გადუტანებიათ“.

ასეთია სომეხთა კორპუსის ქონების ისტორიის ერთი ფურცელთაგანი.

ახლა შევეხოთ ლტოლვილთა საკითხს. ჩვენ გამბრძოლ—საქართველოს მოქალაქე ლტოლვილ ხომხებს ასე თუ ისე მოვუვლით, შეზობაზნულთა ბედი სომეხეთის მთავრობამაც უნდა გაინაწილოს.

სომხის ვექილები გვეუბნებიან—თუ ინტერნაციონალისტები ხარო, ყველა ლტოლვილი სომეხი საქართველოში დაასახლეთო!

უკანასკნელად ახალქალაქის ლტოლვილებს უტრიალებს „კავკასსკოე სლოვო“: თითქოს საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი იყოს მათი ახალციხის მაზრაში დაბრუნებისა. ამავე საკითხს ეხება „კავკასსკოე სლოვოში“ სომხების ერთი ვექილთაგანი, სერგეი გორიდეკა. მას სტატისტიკაც ხელთ აქვს, თუ რავდენი დაღუპა ბაკურიანში, ბაკურიანს ის უწოდებს ცოცხალთა სასაფლაოს. ამ წერილის აზრით, „ახლოდ საჭიროა ლტოლვილთა თავიანთ კერებისათვის დაბრუნება. დეე იქ ყველა ფანჯარები გამოშტვრეული იყოს, კიდლები ცარიელი, საკუთარ ბერ ქვეშ უფრო ადვილათ შესწყდება სიკვდილი. ათიათასობით ღუპება ხალხი იმიტომ, რომ ვერ მოუხერხებიათ რამდენიმე ვერსი გადაიარონ სახლამდე. ამის ვხედავთ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

ასე რომ, დაბრკოლება ახლოდ უბრალო რამეში ყოფილა. ჩვენს მთავრობას **არ ან ვერ** მოუწყვია ლტოლვილების გადაყვანის საქმე ბაკურიანიდან ახალქალაქის მაზრაში!

ნამდვილათ კი აი როგორ არის საქმე: მოგუსმინოთ „ზნამია ნაროდას“, რომელსაც, არა გვგონია, ვინმემ ბრალი დასდოს ჩვენი მთავრობის დაცვაში.

„ზნამია ნაროდას“ გადმოცემით (იხ. 7 ნოემბრის ნომერი) საქმე ასე ყოფილა: „ლტოლვილები მოითხოვენ სამშობლო მიწებზე დაბრუნებას, რომლებიც მას ძალით წაართვეს. ესენი ითხოვენ ისეთ ფლეწენტარულ უფლებებს ცხოვრებისათვის, რომლითაც სარგებლობენ ყველა დანარჩენები, რომელთა ბარეზე ორსებობა წარმოდგენილია. მაგრამ ირგვლივ—სამარისებური სიჩუმე და კიდევ არ სჩანს პასუხი, თანაგრძნობა და ძმური დახმარება. ყოო ისეთი მოვნტეც, როცა ფიქრობდნენ, რომ მოიხლოვდა საათი მათი ბედის გადასწყვეტად და სჯეროდათ, რომ შეცვლილი პირობები შექმნიდენ კარგ მდგომარეობას, რაც შესაძლებელს გახდიდა ისინი დაბრუნებულიყვნენ თავ თავის ადგილებზე და დასახლებულიყვნენ იმ ადგილებში მაინც, რომლებიც ოსმალთ არ ეკავთ. მაგრამ ეს იმედიც გაქრა და გადაიქცა განუხორციელებელ ოცნებათ.

და აი ეს როგორ ხდება.

„ოტომანიის სარდლობის თანხმობით არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, საც შედიოდენ წარმომადგენლები ამავე სარდლობისა, საქართველოს მთავრობის და სომხურ ნაციონალურ საბჭოთან, იმ კითხვების შეგრეულად გადაწყვეტილ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ლტოლვილთა ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში დაბრუნებასთან. კვრძით კომისიას დავალებული ჰქონდა ადგილობრივ გამოეკვლია: პირველი—რიცხვი ლტოლვილებისა და მეორე—იმ თავისუფალი ადგილების რაოდენობა, საც შესაძლებელ იქნებოდა მათი დასახლება.

„კომისია თავის შუშობას ვერ შეუფუძა, რადგანაც ოტომანიის მთავრობას, მისი სარდლობის სახით, დაესადა ჯერჯერობით ყველასთვის უცნობი „ახალი“ გეგმა ლტოლვილთა კითხვის გადასაჭრელად. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, ეს უკანასკნელი, შეუხედავად ათასგვარი ძიებისა და მამართვისა მთავრობის სხვადასხვა ადმინისტრატიულ განყოფილებებში, 3 დღის განმავლობაში

ვერ იქნა ნახული, და მხოლოდ მე-4 დღის გამოირკვა, რომ ის ბორჯომში გაგზავრებულიყო. სომხების ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენლებს კი წასვლა ვერ შეეძლოთ. ამრიგად, ლტოლვილთა ამ მაზრებში დაბრუნება კიდევ ჰაერში გამოეკიდა და მიიღო ისევ გაურკვეველი ხასიათი.

„ეს დაყოვნება, რასაკვირველია, უფრო ართულებს ლტოლვილთა მძიმე მდგომარეობას, რადგან ახლოვდება ზამთარი მეელი მისი დამღუპველი შედეგებით მათთვის.

„რომ ლტოლვილთა დაბრუნება არც ისე ახლოელი დროის კითხვაა, როგორც ამას ზოგიერთი ოპტიმისტები ჰფიქრობენ, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ ოსმალეთის ჯარებმა არამც თუ დასტოვეს ეს მაზრები, არამედ ადგილობრივ თათართაგან კიდეც მოაწყვეს 12—14 ათასი კაცისაგან შემდგარი სამხედრო ძალა იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც გაჰბედავს თათართა მიერ დაკავებულ 70—75 პროცენტის სომხის სოფლების დაბრუნებას.

„აშკარაა, რომ საჭირო დახმარებაც მიეცემა ადგილობრივ თათრებს ოსმალეთის სარდლობის მიერ იმ დარჩენილი ჯარებით (5 ბატალიონი, 12 ზარბაზნით), რომლებიც მათ განკარგულებაშია ამ მაზრებში.

„ეს ახალი გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ამ რაიონების ლტოლვილთა ბედი ფაქრი საშინელ შედეგებამ ბურუსშია გახვეული.

ზემოთ აღნიშნულ პირობებში მეტად საძნელოა ახლო მომავალში ლტოლვილთა დაბრუნების კითხვა გადაიჭრას. ამავე დროს ის საფრთხე, რომელიც ემუქრება მათ ფიზიკურ არსებობას, მოითხოვს, რომ გადაწყვეტილ იქნას სხვა გზა,—საჭიროა სხვანაირად კითხვის გადაჭრა, თუნდაც ეს გადაჭრა დროებითი ხასიათის იყოს, თუნდაც ისე, რომ ისინი დროებით დასახლებულ იყვნენ საქართველოს სომხურ სოფლებში, სანამ ოსმალები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს გაუწმენდნენ“.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. სად არის აქ ჩვენი მთავრობის დანაშაული? აი რა უპასუხა მთავრობის თავმჯდომარემ ნაციონალისტებმა სომხების დეპეშაციას ლტოლვილების მოწყობის შესახებ. თუ ახალქალაქის მაზრაში ოსმალები არ შეგვიშვებენ,—ლტოლვილები დასახლებული იქნებიან პორჩალოს მაზრის სომხურ იმ სოფლებში, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან ოსმალებისაგან.

ეგრეთ ეს არ დაეკმაყოფილებს სომეხთა „ინტელიგენტს:“ სომეხთა ლტოლვილნი მათთვის ის „მძიმე არტილერიაა“, რომელიდანაც განისროლიდეს ყუმბარები, მათი აზრით, საქართველოს რუსპუბლიკას შიგ გულში ხვდება!

და განა ისინი ამაზე ხელს აიღებენ?!

მუშათა საკითხი

ს. დ. ს. ბ. ყრილობამ, რომელიც ათ ნოემბერს შეჯდება, უნდა გაარჩიოს სხვათა შორის მუშათა საკითხიც.

ომმა, სხვა უმეტესობებთან ერთად, წარმოებას არეკ ფარდაც გამოაწვია და ეკონომიურ განვითარებას მსვლელობა შეაჩერა. მუშათა კლასი განიცდის დიდ გაჭირვებას: სიღატაკეს, შიმშილს, მასიურ უმუშევრობას, კრიზისის შედეგის სიმწვავეს.

ჩვენი ქვეყანა ჯერ კაპიტალისტურად განვითარებულია, მას არ მოეპოვება ნაციონალური კაპიტალი, განვითარებული მურეკუაზი. არ არის საფეიქრო წარმოება, მაღაროების ინტერესურად დამუშავება და სხვ.

ომის მიერ გამოწვეულ ტკივილების გადატანა—ბრძოლა უმუშევრობასთან, სიღატაკესთან, ეს უდიდესი თავ-სატკივარი საკითხია. ყველაზე მეტი განსაცდელი იმპერიალისტურმა ომმა მუშათა კლასს დაატეხა თავს.

ამ მხრით უეჭველია დღეგანდელი მდგომარეობა ცუდია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მომავალი უიმედებოთ მოცული არ არის. ჩვენი ქვეყნის აღორძინება აუცილებელია, რადგანაც უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების გამონახვა, მასიურ სიღატაკე-შიმშილის და მის მიერ გამოწვეულ ანარქიის თავიდან აცილება, უმთავრეს საზრუნავ ხაგანს შეადგენს ჩვენი პარტიისათვის.

იქ, სადაც საბჭოთა ხელისუფალი მოწყობილია, ეკონომიურად ძლიერია. სადაც საზოგადოებრივი მოძრაობა, გაგლენა და საქმიანობა ორგანიზაციულად ამუშავებულია. უმუშევრობასთან ბრძოლაც გადავლილებულია.

ჩვენში სახელმწიფოებრივი შენება ახალი დაწყებულია და ორგანიზაციული მუშაობა, უნდა სიმართლე ითქვას, ეხლა განვითარების პროცესშია. ასეთ პირობებში უმუშევართა საკითხი სახელმწიფოსათვის, როცა ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი უმაღლეს წერტილამდის არის მიხწეული, ძნელი მოსაწესრიგებელია.

ჩვენ ვიცით სხვადასხვა ქვეყნების ისტორიიდან უმუშევრობის შიერ გამოწვეულ სიღატაკეს თუ როგორ ებრძოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელმწიფო. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაარსდა ინგლისში „მეგობართა საზოგადოება“, რომელმაც მიზნათ დაისახა უმუშევართა საკითხის მოწესრიგება, ინვალიდების, დასიხჩრებულთა და სხვა ეს დიდი მოძრაობა ევროპაში თანდათან აღორძინდა. მან დიდი ნაყოფი გამოიღო და საპატიო როლი ითამაშა კრიზისების დროს.

სახელმწიფომ საჭიროა ნაბიჯი უნდა გადადგას ქვეყნის ეკონომიურ მოძრაობის, წარმოების ასაღორძინებლად.

საზოგ. ორგანიზაციებმა, ქალაქის თვითმართველობებმა, ერობებმა, პროფ. კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფოს და მიზნათ უნდა დაისახონ უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესება. შრომის ბირჟების გამოცოცხლება, უფასო ბინები, სასადილოები, სწორი სტატისტიკა, გამორკვევა ყველა წარმოებაში სინამდვილისა, ამ ნიადაგზე ძლიერ საჭიროთ უნდა იქნას მუშაობა გაჩაღებული.

უმუშევრობით არ თავდება მუშათა საკითხი, საუბედუროთ ამ ბოლო დროს ჩვენში თავი იჩინა მაქსიმალიზმმა და ეს მოვლენაც ფესვებს ფართედ იდგამს აქა-იქ. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი პროგრამა—მინიმუმის განხორციელება—საჭიროა. მაგრამ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მუშათა მოძრაობა თავის საზღვრებს განშორდეს, არ შეუფარდოს თავის მოთხოვნილება ეკონომიურ, საწარმოო ძალთა განვითარების პოლიტიკას და ანარქიმაქსიმალიზმით შეაჩერონ ეკონომიური განვითარება. ეკონომიური გაფიცვები თუ წარმოების მოთხოვნილებას აღემატება, მასთან შეფარდებული არ არის, ცხადია, წარმოებაში კატასტროფას იწვევს და მუშებს მდგომარეობასაც ართულებს.

„შეგნებულ პროლეტარიატის ვალია ეკონომიურ განვითარების ობიექტიურ პირობებთან შეთანხმებით იმოქმედოს. კაპიტალისტურ წარმოების საფეხურლოებანი კარგათ გაიგოს. სოციალისტურ რევოლიუციამდე მოთხოვნილება მუშებისა გამომდინარეობდეს უნდა მათ ნიადაგ-სუფიერ-კულტურულ საზღვრებიდან და ამაგე დროს მუშათა მოძრაობა ანგარიშს უწევდეს წარმოების რეფორმიულ-ეკონომიურ პროცესს“.

ასე ფიქრობდა ფ. ენგელსი. დღეს მოწინავე მუშებმა და ხელმძღვანელ პარტიის ყრილობამ ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ყრილობამ მაქსიმალიზმი უნდა დაგმოს, მოწინავე მუშებმა და ორგანიზაციებმა ამ ნიადაგზე პროპაგანდა აგიტაცია უნდა გასწიონ და მით ხელი შეუწყონ მუშათა მოძრაობის თავისი გზით მსვლელობას.

წინ გძელი ნარ გაღლილი გზა გვაქვს გასავლელი და ჩვენი ბედი მუშათა მოძრაობის შეგნებულ განვითარებაზეა დამოკიდებული. **ანანია.**

ომი და ზავი

(საქ. დეპ. სააგ.)

დროებითი ზავი დასავლეთის ფრონტზე.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგის“ ცნობით, დროებითი ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლათ გერმანიამ თავის მხრით ჰაგის საშვიდოსო კონფერენციის ყოფილი სამხედრო დელეგატი გენერალი ფონ გაუნდერი, პარიზის ყოფილი სამხედრო ატაშე გენერალ მაიორი ფონ-ფირტენფელდი, გარეშე საქმეთა სამინისტროს ყოფილი სტატს-სეკრეტარი კონტრ-ადმირალი მაურერი. იმ ფაქტიდან, რომ დასავლეთში გერმანიის რწმუნებულები გამგზავრენ ის დასკვნა გამოდის, რომ დროებითი ზავის პირობების გამოშუშავება ჩქარის ნაბიჯით წაიწევა წინ.

სამხედრო კაბინეტი მთელი დღის განმავლობაში ვერსაილის საპასუხო ნოტას იხილავდა,

დეპეშები

(საქართველოს ფეოდალთა საელჩო).

8 ნოემბერი.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 7 ნოემბ. სამხედრო ცნობა. უჯარედის ჩრდილო-აღმოსავ. ფრანგები შელდაზე გადმოვიდნენ, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაგდეთ. შელდასა და უაზის შუა მტერი მკაცრი იერიშებით სცდილობდა 4 ნოემბერს დაწყობილ ჩვენი მწყობრი უკან დახევისთვის ხელი შეეშალა. უმთავრესად იერიშები მოჰქონდათ ვალანსიენის ჩრდილო აღმოსავლეთის ნაწილ, ბონგონის გზის სამხრეთით, ბავეს ახლო და ოლნუასთან სამხრეზე მკაცრი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. სალამოზე მტერი კიეგრენთან, ბავეს დასავლეთის ნაპირში, ოდნეა აღმოსავლეთით და ლა კაპელის დასავლეთით იყო. უაზასა და ვნიხ შუა მტერმა ვერვინ-როზუას ხაზს მიაღწია. მდ. ენი ეტეელის ორივე მხრით გადმოლახა და სალამოთი ვესინიი-ნოვიონ-პორსიენ ტურტეროინის ჩრდილოეთის ხაზზე იდგა. ენსთან და მეუზას შუა მტერმა ვენდრესსა და მუზონამდე მიაღწია. მეუზის აღმოსავლეთის ნაპირზე ამერიკელები განაგრძობდნენ მძლავრ იერიშებს. მათ გაფართოვეს ხიდის წინ მდებარე პოზიციების თავ დასაცავი ფრონტი. დანიის აღმოსავლეთით მიურეოს და ფონტენის აღმოსავლეთით მდებარე ტყეებთან მტერი შეეჯარეთ. სვერის აღმოსავლეთით ბრანდენბურგელთა გამოცდილმა ქვეითთა № 228 დივიზიამ ყველა თავისი პოზიციები შეინარჩუნა.

ბერლინი. 7 ნოემბერი. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 7 ნოემბ. ბეჭდვითი ბიუროს ს. რ. კ. ა. კ. მე-6 ყრილობის პირველი სხდომა.

ლენინის სიტყვა.

დიდი თეატრის დარბაზი, სადაც ყრილობა იხსნება, ხალხით სავსეა. სვერდლოვის სიტყვის შემდეგ, რომელიც მეესალმა ყრილობას, ლენინი ლაპარაკობს. ჩვენი რევოლიუციის წლის თავის დღესასწაულის გადახდა,—ამბობს ის,—ისეთ მომენტში გვიხდება, როდესაც საერთაშორისო მასშტაბში დიდს ამბებს აქვს ადგილი, როდესაც იმათთვისაც კი, ვინც ეჭვობდა, ნათელი შეიქნა, რომ მსოფლიო ომი პროლეტარიატის რევოლიუციით დასრულდება. ჩვენ წარსულში მძიმე პირობებში მოგვიხდა რევოლიუციის დაწყება. მომავალში ქვეყნიერების არც ერთი მუშათა რევოლიუცია არ დაიწყება ასეთ მძიმე პირობებში. მუშათა კანტროლიდან მრეწველობის ახალ გაგებლობაზე გადავედით. გლეხთა საყოველთაო, მიწისთვის ბრძოლიდან, რომელსაც საყოველთაო—ეროვნული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, ჩვენ იმას მივაღწიეთ, რომ სოფელს ჩამოვაშორეთ პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტები, ისინი, ვინც განსაკუთრებით მუშაობს, რომლის შრომითაც სხვა სარგებლობს. ყველა ამ ელემენტებმა შეისასლხლხარცეს ახალი ცხოვრების აღმშენებლობა და მთელი თავისი ძალები ბურჟუაზიის და ჩარჩვების წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს. ამ წელიწადს ჩვენთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეხლა რუსეთში ისეთი მივარდნილი კუთხე არ არის, სადაც საბჭოთა ორგანიზაციები არ გამტკიცებულიყოს და საბჭოთა კონსტიტუციის მთლიან ნაწილს არ შეადგენდეს. საერთაშორისო განმარტოებისაგან ჩვენ ისეთ მდგომარეობას მივაღწიეთ, როდესაც ერთად ერთი მტკიცე მოკავშირე, მთელი ქვეყნის მშრომელნი და დევნილნი, ბოლოს აღსდგენენ და ჩვენ გვეშველებიან, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბელადები ლიბენეტი და

მარება გსურთ გაუწიოთ ამა თუ იმ თეატრს, მიეცით სუბსიდია.

შ. ამირეჯიბი აღნიშნავს, რომ თეატრი უნდა გადავარჩინოთ ზარალს. სულ ერთია გადასახადი თუ დავტოვეთ, სამხედრო უწყებას არავითარი შემოსავალი არ ექნება და თეატრსაც დაგლუპავთ.

აკ. ფალავა აღნიშნავს, რომ ხელოვნებას რაც უფრო მეტი შემოსავალი ექნება, მით აყვავდება. შეუძლებელია ასეთ პირობებში ხელოვნების განვითარება, არ არსებობს არც ერთი დარგის ასეთი დაბეგვრა, როგორც ხელოვნებისა. შეაქვს წინადადება სოც. ფედერალისტების ფრაქციის სახელით, რომ პროექტიდან ამოიშალოს ბალეტი და ოპერეტა.

ალ. ლომთათიძე. ბ. გაბაშვილის მიერ ყბად აღებული დემოკრატია არა ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს ხელოვნების განვითარებას. თუ ეროვნულ ხელოვნებას აქვს მომავალი, ეს იქნება წმინდა დემოკრატიული, ხალხის ნამდვილ ზრახვათა და სულის კვეთებათა გამომხატველი ან და სულ არ იარსებებს. რაც შეეხება ბალეტს, თუ გვინდა რომ ოპერა აღორძინდეს, ეს უბალეტოთ შეუძლებელია. უკვე თფილისში დაარსდა სკოლა, სადაც უალრესად მისდევენ ბალეტს. უმთავრესი მიზანი სამხედრო გადასახადები მოხსნისა ის არის, რომ რადგანაც ხალხს, რომელსაც დიდი წყურვილი აქვს დაეწაფოს ხელოვნებას, და არ შეუძლიან დასწრება უსახსრობის გამო, მივცეთ თეატრში დასწრების საშუალება. შეუძლებელი არის ცენზურის დაწესება, როგორც ეს ბ. ახვერდოვმა გვიჩვენა. ოპერეტა და ფარსი ერთმანეთს უახლოვდებიან და ხალხს ზნეობრივად გარყვნას უფრო ემსახურებიან, ვიდრე მის განსპეტაკებას.

ე. აბაკელია იცავს კანონ პროექტს და მოითხოვს უცვლელად იქნეს მიღებული. არ უნდა გამოიცეს ისეთი კანონი, რომლის გვერდის ახვევაც ადვილი შესაძლებელი გახდება. ანტრეპრენიერს შეუძლიან ოპერეტას კომიკური ოპერა დაარქვას და გადასახადი აიცდინოს, როგორც ამას ზოგიერთები შვრებოდენ.

მიღეს ალ. ლომთათიძის წინადადება, პროექტიდან ამოიშალოს ოპერეტა. სოციალ.-ფედ. წინადადება—ამოიშალოს ბალეტიც, არ იქნა მიღებული. კანონ-პროექტი შედის ძალაში 1918 წ. 1 ნოემბრიდან.

კანონ პროექტი სხვადასხვა უწყების სკოლების განათლების სამინისტროში გადასვლის შესახებ.

მომხსენ. ნ. ციხეაძე: რუსეთში და აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი სკოლები სხვადასხვა უწყებებს ექვემდებარებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების სკოლები, იუსტიციის, ვაჭრობა-მრეწველობის და სხვა ასეთი დაწესებულებანი არა ნორმალურია ჩვენი რესპუბლიკისთვის. საჭიროა განათლების დარგში დაცული იქნას მთლიანობა. აგრეთვე არსებობს პრაქტიკული ხასიათის მოსაზრება: სკოლა, რომელიც ამა თუ იმ უწყებას ექვემდებარება, მოითხოვს სპეციალურ აპარატის შექმნას. ყველა სამინისტროს საკუთარ განყოფილება დასჭირდება და ეს კი ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის მეტად მძიმე ტვირთი იქნება. მხოლოდ ერთი ტიპის სკოლები—დაბალი და საშუალო სამეურნეო სასწავლებლები, უნდა დარჩენ მიწადმოქმედების სამინისტროსთან, რომელიც ინტენსიურად აგრარულ რეფორმებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საცდელ მინდვრების დამუშავებას და ჩვენი მეურნეობის აყვავებას. მიწადმოქმედების სამინისტროს ხელშია ოსტატობილი აპარატი ამ დარგისათვის, შემუშავებულია გეგმა სამაგალითო საცდელ მინდვრების დასამუშავებლად და ეს, რაც დასჭირდება სკოლას პრაქტიკულ მუშაობისთვის, მის განკარგულებაში იქნება. დასავლეთ ევროპაში, სადაც ყველა უწყებები სკოლების განათლების სამინისტროს ხელშია ამ გვარი სკოლები, მიწადმოქმედების სამინისტროს ხელში იმყოფებიან. აუცილებლად საჭიროა დაბალი და საშუალო სასწავლებლები იმყოფებოდენ მიწადმოქმედების სამინისტროს ხელში. რაც შეეხება მაღალს სამეურნეო სასწავლებელს, ის შესაძლებელია განათლების სამინისტროს გადაეცეს, რადგანაც იქ ფუძენი თეორიულ ცოდნას იძენენ მოსწავლეები.

განათლების მინისტრი ლასხიშვილი. განათლების სამინისტრო იმ აზრს ადგა, რომ ყველა ტიპის სკოლები უნდა იქნეს გადაცემული განათლების სამინისტროს ხელში. როდესაც ეს კითხვა ირჩეოდა მიწადმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი არ იყო და შემდეგ განაცხადეს პროტესტი, რომ სამეურნეო ტიპის სკოლები განათლების სამინისტროს ხელში გადადიოდა. ეს კითხვა გადაეცა საუწყებათაშორისო კომისიას, მაგრამ საქმე შეთანხმებით არ მოხდა. ჩვენი სპეციალისტები იცავდენ იმ აზრს, რომ არ არის მიზან შეწონილი სკოლების სხვადასხვა უწყების ხელში დატოვება. თვით მიწადმოქმედების სამინისტროს სკოლებში საჭიროა არა მარტო პრაქტიკული მეცადინეობა, არამედ თეორიულ საგნების შესწავლაც. და ის ბაღები და მინდვრები, რომელნიც მიწად მოქმედების სამინისტროს ხელშია, სახელმწიფო კუთვნილებაა და საჭირთებისათვის საერო განათლების სამინისტროს უნდა დაეთმოს.

აკ. ფალავა აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ სახით პროექტის მიღება. ან ყველა სკოლები ერთი უწყების ხელში უნდა დავტოვოთ ან ეს უნდა უარვყოთ და ყველა უწყებებს სკოლები ჩააბაროთ. მიწათმოქმედების სამინისტრო ვერ მოუვლის სკოლას, რადგანაც ეს მისი სხვათაშორისო საქმე იქნება. ორატორი საჭიროდ სთვლის ყველა სკოლები განათლების სამინისტროს ხელში იყოს.

არჩ. ჯაჯანაშვილი. როდესაც სახალხო განათლების სამინისტროზე მიდგება ხოლმე საქმე, ყოველთვის სცდილობენ უფლებები შეაკვეცონ. ამ მოხდა ბიბლიოთეკების გახსნის დროს, როდესაც სოფლის კომისრებს დააკისრეს ეს ფუნქციები. ორში ერთი: ან დაშალეთ სამინისტრო და სკოლები უწყებების ხელში დაარიგეთ ან მიეცით საშუალება განათლების სამინისტროს მოუაროს საგანმანათლებლო საქმეს.

ლ. ნათაძე: არ. ჯაჯანაშვილის სიტყვები, წამოთქმული იყო უფრო საგიტაციოთო, ვიდრე საკითხის გასაშუქებლათ. არ შეიძლიან არ განვაცხადო განათლების კომისიის სახელით, რომ იგი სხვა გვარათ უყურებდა ბიბლიოთეკების გახსნის საკითხს. არავის უფიქრია განათლების სამინისტროს კომპეტენციის შეზღუდვა. ჩვენ დავაკისრეთ სოფლის კომისრებს სამკითხველოების გახსნა, რადგანაც ყველგან არ გვყავს მასწავლებლები. სამკითხველოს გახსნა კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. სხვა მოსაზრება ჩვენ არ გვქონია. ჩვენ ვამბობთ, რომ როდესაც ერობა დაარსდება და ყველგან სკოლები დაიხსნება, მაშინ სამკითხველოებიც მას გადაეცემა. განათლების სამინისტრო დატვირთულია აუარებელი საქმეებით და შეუძლებელია კიდევ დავაკისროთ სამეურნეო სკოლების მოვლა. თუ სხვა უწყების სკოლები გადადის განათლების სამინისტროს ხელში, ეს მიტომ, რომ სხვა გზა არა გვაქვს. მიწათ-მოქმედების სამინისტროს კი საშუალება აქვს მოუაროს თავის სკოლებს. მას აქვს ამისთვის საჭირო აპარატი მოწყობილი, რომელიც არავითარ დამატებით ხარჯებს არ გამოიწვევს. ეს მიზან შეუწონელია, ეს მოწყობილი აპარატი უნდა დაინგრეს და ეს სკოლები გადაეცეს განათლების სამინისტროს, რომელიც ერთი ორი თვის შემდეგ მათ გადასცემს ერობას და ხელ ახლათ საჭირო იქნება ახალი სასკოლო ორგანიზაციის მოწყობა, და რომ წელიწადში რამდენჯერმე არ მოგვიხდეს ეს მოწყობილი აპარატის დანგრევა და აშენება, საჭიროა დავტოვოთ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში სამეურნეო სკოლები. რამდენიმე სკოლა განათლების სამინისტროს ხელში რომ არ იყვეს, ამით სამინისტროს არაფერი დააკლდება, რადგანაც მას ისედაც ბევრი დიდ-მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გასაკეთებელი.

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ საჭიროა განათლების სამინისტროს ხელში დარჩეს ყველა სკოლები. მიწათ მოქმედების სამინისტრო ვერ უვლის დაკისრებულ საქმეებსაც და ახლა გინდათ ზედმეტი ტვირთი დააკისროთო. უსაყვედურებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს უმოქმედობას, რომელსაც გაეროვნების რეორგანიზაციაც ვერ მოუხდენია და სკოლებსაც რუსულ ენაზე თუ მოაწყობსო.

შ. ნუცუბიძე გამოსთქვამს ეჭვებს, რომ მიბლიოთეკის საკითხი სულ სხვა მიზნებისთვის დააკისრეს სოფლის კომისიებს და აგრეთვე არ სწადიათ გადასცენ სამეურნეო სკოლები განათლების სამინისტროს, რადგანაც შეიძლება ეშინოდეთ, რომ განათლების სამინისტრომ სოციალისტური ექსპერიმენტები არ მოახდინოს შეურნეობაში. ორატორი დასძენს, რომ იგი ამ თავის ეჭვებს კატეგორიულ ხასიათს ვერ მისცემს. მოითხოვს, რომ სამეურნეო სკოლები გადაეცეს განათლების სამინისტროს, რადგანაც თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთი ერთმანეთისაგან გათიშვა არ არის სასურველი. ასეთი მიმდინარეობა არის თანამედროვე პედაგოგიაშიო.

ნ. ხომერიკი (მიწ. მოქ. მინისტრი). თავიდან არ მოშისმენია კამათი და რაც მოვისმინე, ის ბევრ განმარტებას საჭიროებს. ბევრს ეს საკითხი პრინციპიალურ სფეროში გადაიქცა. აქ კი მიზანშეწონილებასთან გვაქვს საქმე. განათლების სამინისტრო ვერ უხელმძღვანელებს ისეთ სპეციალურ სასწავლებლებს, როგორც სამეურნეო სკოლაა. დასავლეთ ევროპაში, სადაც სწავლა-განათლების საქმე გაერთიანებულია ერთ ორგანოს ხელში, სამეურნეო სკოლები ან ერობის ანდა მიწად მოქმედების სამინისტროს ხელშია. მიწადმოქმედების სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს საოფლო-სამეურნეო განვითარებას და ეს სკოლები ერთი საშუალებათაგანია ამ მიზნისათვის. სახალხო განათლების სამინისტროს არა აქვს ამისათვის მოწყობი ი აპარატი, ავიღოთ მაგალითად მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებული სამეურნეო ინსპექცია. განა მას მარტო განათლების საქმე ეგბარება? არა, მან უნდა ხელი შეუწყოს მეურნეობის აყვავებას. ყველა ეს ერთიერთმანეთთან დაკავშირებულია. არიან აქ მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც ღირსეულათ გაუძღვებიან მეურნეობის აყვავებას და სკოლასაც კარგათ მოუვლიან: განათლების სამინისტროს თუ გადავეცით სამეურნეო სკოლები, მას დასჭირდება შტატები მცოდნე სპეციალისტებისა, წინაღმდეგ შემთხვევაში დილეტანტები იქნებიან მასწავლებლათ, რომელთაც არ ეცოდინებათ, როგორ მოაწყონ და რა ნიადაგზე დააყენონ პრაქტიკული ცოდნა. და ცხადია რომ ამ საქმეს მიწათმოქმედების სამინისტრო უფრო შეასრულებს. მიწათმოქმედების სამინისტრო არ არის მარტო მიწის რეფორმებისთვის დაარსებული. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მეურნეობის აღორძინებასა და აყვავებას. ეს განხორციელდება სამეურნეო სკოლების საშუალებითაც და თუ ეს სკოლები განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა, თავიანთ დანიშნულებას ვერ მიახწევენ.

ეხლა მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მიწათმოქმედების სამინისტროზე. ჩვენი უწყების წინაღმდეგ ხშირად ილაშქრებენ მარჯვენა სექტორიდან, მაგრამ მათ სახელმწიფოებრივ ინტერესით კი არ მოსდით ეს, არამედ ერთგვარი უნდობლობით, რომელსაც მემარჯვენენი იჩენენ მიწადმოქმედების სამინისტროს მიმართ. ის წრე, რომელიც არ თანაუგრძნობს აგრარულ რეფორმას, რასაკვირველია ვერც იქნება მადლიერი ჩვენი მუშაობით. გვისაყვედურებენ, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო განზრახ არ ატარებს ნაციონალიზაციასო. ეს სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ამ ნაციონალიზაციას ფრთხილათ ვეკიდებით, რამდენათაც ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.

ლ. ნათაძე. რა კავშირი აქვს სკოლის საკითხს აგრარულ რეფორმასთან? მიწის საკითხს ისე უყურებენ, რომ იგი ორ მომენტს შეიცავს. პირველია ჩამორთმევა და მეორე—დარიგება. ამას იქით ვერაფერს ხედავენ. მესამე მომენტი აგრარულ რეფორმისა ყველაზე მნიშვნელოვანია: სახელდობრ, უნდა მოვაწყოთ თვალსაჩინო ეკონომიკა, უნდა ავაყვავოთ კულტურული კერა. ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ის საუფლისწულო მამულები, რომლებიც მთავრობას მზამზარეულად ხელში ჩაუვარდა, დიდ მუშაობას საჭიროებენ. საჭიროა მისი მოვლა და გაკეთება. და თუ თქვენ ყურადღებას მიაქცევთ, დიდი კავშირი აქვს ამ მეურნეობის აყვავებას სკოლასთან. როგორ გინდათ გააკეთოთ საუფლისწულო მამულები, რომ მცოდნე შეგირდები არ ჩააყენოთ შიგ. და ისინი, ვინც იქ მუშაობენ, არ სჯობია იყვნენ სწავლულნი და მცოდნე თავიანთ დარგისა? სულ ერთია ამ მამულების მომვლელთ ესაჭიროებათ ცოდნა, და სკოლებიც რომ არ იყოს, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ფულები უნდა დაბარჯოს მცოდნე პირთა მოსამზადებლათ. ამ დარგისთვის მიწათ-მოქმედების სამინისტროში საგმოთ მომზადებული სპეციალისტები მოიძებნებიან. ეს კამათი ორ უწყებათა შორის მხოლოდ მემარჯვენეებს გაახარებსო. და არც უნდა გავახაროთ იგინი. მგონი, მემარჯვენეებს გაუხარდებათ, როდესაც ჩვენ ერთი-ერთმანეთს გულში ფათურს დაუწყებთ. აქ დამფუძნებელ კრებას დაუკავშირეს მიბლიოთეკების საკითხი და გვისაყვედურეს, სადემაგოგიო ხრიკებს მიმართეთო. უნდა განვაცხადო, როგორც განათლების კომისიის თავმჯდომარემ, რომ კომისიას ასეთი ტენდენცია არ ჰქონია და განათლების საქმეს ის უყურებს, როგორც მხოლოდ განათლების საქმეს (ტაში).

რ. გაბაშვილი ლაპარაკობს და ვერ ამთავრებს სიტყვას, რადგანაც რეგლამენტის ძალით 3 საათზე კრება იხურება.

კრების დახურვისას, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანია აცხადებს: მოქალაქენო! მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: თქვენ ალბათ იცით, რომ მთავრობაში საქმე თანდათან რთულდება და მინისტრთა სრული კონფლიქტი კი არ არის. ორი უწყება ჩავაბარეთ ერთ პირს: შინაგანი და საგარეო. საქმეები ბევრია და საჭირო იყო საგარეო სამინისტროსთვის სპეციალური გამგე. მე ვთხოვე ევგ. გეგეჭკორს, რომ შემოსულიყო მთავრობაში უპორტფელოთ და განეგო საგარეო საქმეთა სამინისტრო. საჭირო იყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ყოფილიყო აქ და რადგანაც აკ. ჩხენკელის გამოწერა ბერლინიდან ჯერ შეუძლებელია, ის დარჩება იქ ჩვენ ელჩად. საგარეო მინისტრათ კი იქნება ევგ. გეგეჭკორი.

„განწირულთა ქვეყანაში"

ამ თემაზე სახალხო სახლში 7 ნოემბერს სტ. ვოლსკიმ ლექცია წაიკითხა.

განწირულთა ქვეყანა,—სტ. ვოლსკის თქმით,—ეს ბალშევიკური რუსეთია.

ბევრი მოგვისმენია და წაგვიკითხავს ჩვენ ბალშევიკური რუსეთის შესახებ, მაგრამ ის, რაც სტ. ვოლსკიმ გადმოგვცა, განსაკუთრებული ღირებულებისაა. ვოლსკი ერთ დროს თითონ ბეშმარიტი ბალშევიკი თუ არ იყო, დიდ დახმარებას უწევდა, როგორც თანამგრძნობი, რუსეთში კომუნიზმის დამყარებას.

და როცა ეს „კომუნიზმის დამყარება" უკვე ფაქტია, რა აზრისა თვით სტ. ვოლსკი?

არ არის კარგი შეხედულობის ის ამნაირ კომუნიზმზე, არ უცქერის ის კარგის თვალით რუსეთის კომუნიზმს. სტ. ვოლსკის გადმოცემით,—ის, რასაც სწერდა მე-70 წლებში ანარქისტი ბაკუნინი ანარქიის დამყარების და ამ საშვალებით საფრანგეთის ხალხის გაბედნიერების შესახებ, რუსეთში განხორციელებულია და შედეგათ მოჰყოლია მას არა ბედნიერება, არამედ—უბედურება, ყოველივე კულტურული შენაძენის განადგურება, ხალხის საერთო დაბეჩავება.

აი როგორია რუსეთის ცხოვრების დღევანდელი სურათი, სტ. ვოლსკის მიერ დახატული!

ნათქვამის დასასაბუთებლათ ლექტორმა აუარებელი ფაქტები მოიყვანა ცხოვრების ყველა დარგიდან, საზოგადოების შემადგენელ ყველა კლასების დამოკიდებულებიდან საბჭოს მთავრობისადმი.

ხალხი გრძნობს, განიცდის ყველა იმ უბედურებას, რომელიც მას თავს დაატყდა, მაგრამ კრიტის დაძვრას ვერ ბედავს, ეშინია. ოპოზიციის სული ხალხში ჩამკვდარია. ყველა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს. მხოლოდ საკუთარ ბინაზე, თავის ოთახში შეიძლება ვინმემ გაბედოს საწინააღმდეგო ხმის ამოღება, ისიც დიდის სიფრთხილით. თვით სახელმწიფოს სათავეში მდგომი ზოგიერთი პატიოსანი, უმწიკვლო ბალშევიკებიც გრძნობენ, თუ რა მდგომარეობაში მოექცენ მაგრამ გამოსავალ გზას ვერ პოულობენ!

ვინ ბატონობს რუსეთში? მართლა პროლეტარიატის დიქტატურაა იქ?

მოვუსმინოთ სტ. ვოლსკის:

მორიგოზოვის ქარხანაში, სადაც ექვსი ათასი მუშა ირიცხება, ახ ოცი კაცია მხოლოდ კომუნისტი. დანარჩენა 5,780 კაცი არც ბალშევიკია, არც მენშევიკი, მათ სრულიად არ აინტერესებთ „პროლეტარიატის დიქტატურა", ეს ხალხი არ ერყვა პოლიტიკაში, ისინი ისე არიან დაბეჩავებულნი, რომ ვერაფერი გაუბედნიათ, ხმაც ვერ ამოუღიათ! ასეა ყველგან.

„ცენტრო-ტექსტილმა" ფაბრიკა-ქარხნების საქმეები ვერ მოაწესრიგა, წარმოება ვერ გაჩაღა.

„ცენტრო-ტორ"-მა შეშა ვერ მიაწოდა ქალაქებს.

პურის, თივის და სხვათა მონოპოლიამ ხალხი, ცხენები შიმშილით დახოცა ქალაქში.

„პროლეტ კულტური", რომლის შექმნის დანიშნულება იყო პროლეტარიატის შორის კულტურის გავრცელება, საეკვო დაწესებულებათ იქნა აღიარებული, ფინანსიდან მის გარშემო შემოკრება იწყეს პროლეტარიატის კეთილის მოსურნე ინტელიგენტებმა, რომლებიც „კონტრრევოლიუციონერებათ" იქნენ მონათლულნი!

ბალშევიკურ რუსეთში ქალაქზე ყველაფერი რიგზეა, დიდებულ საქმეებს ეყრება საფუძველი, მაგრამ როცა სინამდვილეს გაუწორებთ თვალს—ხალხი იღუპება: შიმშილით, სიცივით.

ხალხი ერთმანეთს ხოცავს, ჟლეტს სამოქალაქო ომში!

ის ქვეყანა, საიდანაც მე მოვედი, განწირულთა ქვეყანაო,—ასე დასასრულა თავისი ლექცია სტ. ვოლსკიმ.

პირველ ლექციაში ის შეეხო რუსეთის ქალაქს, მეორე ლექციაში შეგვპირდა რუსეთის სოფელზე ილაპარაკოს.

ლექციამ მსმენელებზე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. ორი.

ეპიდემია სოფლათ და საოფლო ქსენონები

საზოგადოთ ცნობილი ფაქტია ჩვენში საექიმო - სასანიტარო საქმის მოუწყობლობა. ამ მხრით განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაშია სოფელი. ქალაქები ავით თუ კარგათ ექიმებსაც შულობენ და წამლებსაც. სოფელი კი ამ მხრით ღვთის ანაბარათაა მიტოვებული. ამ გარემოებამ დიდი ხანია მიიქცია ზოგიერთი მთავრობის დაწესებულებების ყურადღება, მაგრამ მათ მოქმედებას წინ გადაეღობა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები. ჯერ კიდევ მასში მომარაგების კომიტეტთან დაარსებულმა მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს მაშინდელი კომიტეტის თავმჯდომარის, დ. ა. თოფურიძის დავალებით. ამ მიზნით მომარაგების კომიტეტმა უპირველესი ყურადღება მიაქცია პროვინციის იმ ადგილებს, სადაც ეპიდემია მძინვარებდა. გაგზავნილ იქნენ სპეციალური საექიმო რაზმები ჩოხატაურში, ყვირილაში, ბორჯომში, ბაკურიანში, ხაშურში, სანაინში და სხვა ადგილებში. ბევრგან ამ რაზმებმა ლაზარეთები და საავადმყოფოები მოაწყვეს; მაგალითად, დ. ა. თოფურიძის განკარგულებით ყვირილაში იქნა გახსნილი ოც საწოლიანი საავადმყოფო, რომელსაც შეუძლია სამაზრო საერობო საავადმ. როლი იკისროს. ბაკურიანში და ბორჯომში მოწყობილ იქნნა ლტოლვილებისათვის დროებითი ლაზარეთები, ორასამდის საწოლია. მეორეს მხრით მომარაგების კომიტეტმა მიზნათ დაისახა იმ ქსენონების აღდგენა, რომელნიც არსებობდენ ძველი მთავრობის დროს, ორ-ორი თითო მაზრაში. ამ მიზნით განკარგულება იყო გაცემული, რომ თფილისის გუბერნიის სახაზინო და საზოგადოებრივი ქსენონებისათვის დაემზადებინათ წამლების და საჭირო მოწყობილობის 40 კომპლექტი, თანახმად საგუბერნიო ექ-მის ტ. ს. ქიქოძის და საექიმო კომისარის ვ. მ. მახვილაძის შეამდგომლობისა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საწყობმა ეს დავალება ვერ შეასრულა. პირველ სექტემბრიდან მომარაგების კომიტეტის მედიკო-სანიტარული განყოფილება გააუქმეს და მისი საქმეები და რაზმები გადასცეს შინაგ. საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ მედიკო-სანიტარულ განყოფილებას. ამ განყოფილებამ, დღიდან თავისი დაარსებისა, მიზნათ დაისახა ძველი ქსენონების და საფერშლო პუნქტების აღდგენა; ამავე დროს ის შეუდგა ახალ ქსენონების გახსნის გეგმის შემუშავებას. მედიკო-სანიტარული განყოფილება გვრწმნობდა საგუბერნიო საექიმო განყოფილებების და კომისრების მრავალჯერ განმეორებულ თხოვნაზე, აღეღგინათ ეს ხალხის ჯანმრთელობისათვის საჭირო დაწესებულებანი, სასოფლო ქსენონები. შესაფერი ხარჯთ აღრიცხვა და შეამდგომლობა მრავალჯერ იყო წარდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ დადებითათ საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია, თუმცაღა მინისტრი დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ შეამდგომლობას. გარდა მედიკო - სანიტარული განყოფილების შეამდგომლობისა, თვით გუბერნიის ხელმძღვანელნი მმართველნენ მთავრობას, მაგრამ ამანაც არ გასჭრა. ასე, ქუთაისიდან ორჯერ ჩამოვიდა ამის შესახებ გუბერნიის ექიმი ლორთქიფანიძე, ერთხელ მისი თანაშემწე წულაისკირი და ორჯერ საგუბერნიო ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ურატაძე, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღებით მოიპყრა საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობას გუბერნიაში.

სოფლის ქსენონების აღსადგენათ საჭიროა ორი რამ: 1) ჯამაგირები უნდა მოემატოს ექიმებს და მის თანაშემწეებს (იქ-ში ღებულობს 400 მან. და მისი თანაშემწე 200 მან.) მიეცეს ამ ქსენონებს საჭირო წამლები. პირველი საკითხი ასე თუ ისე ბევრ ალაგას გადაჭრილია: ექიმები მიდიან იმ ამოდით სამუშაოთ, რომ მომავალი ერობა უზრუნველყოფს მათ. ასე რომ თითქმის ყველა ქსენონებში არიან ექიმები და ფერშლები. გარდა ამისა მათ იციან, რომ მთავრობა შეპირებულია ჯამაგირების მომატებას, რასაც დღითი დღე მოელიან, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ექიმმა უწამლოთ? წამლების მიწოდება ქსენონებზე უწინ სწარმოებდა მთავრობის ხარჯზე, რომელიც ინახავდა მათ საერობო თანხიდან. ეხლა საერობო თანხა არ არსებობს ხაზინაში. ამიტომ მედიკო-სანიტარული განყოფილება თხოულობდა მიეცათ ქსენონისთვის წამლები ნისიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯზე; შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ წამლების ფასს დაფარავდა მომავალ საერობო შემოსავლიდან. ამ წესით მომარაგების კომიტეტიდან აძლევდენ წამლებს საქონელს შინაგან საქმეთა სამინისტროს. მაგრამ ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. მიწად მოქმედების მინისტრმა, რომლის განკარგულებაშიც მომარაგების კომიტეტი იმყოფება, გასცა ბრძანება, რომ კომიტეტის საწყობებიდან საქონელი მიეცათ ან ნაწილი ფულზე ან ისეთ დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ხაზინაში მოეპოვებათ კრედიტი, ამ კრედიტის სტატიის და პარაგრაფის ჩვენებით. ამ გარემოებამ მოუსპო შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალება ქსენონისათვის წამლების მიღებისა.

ასეთია მდგომარეობა დღეს, როდესაც ეპიდემიური ინფლუენცია („ესპანკა") და სხვა გადამდები სნეულებანი საშინელის სიძლიერით მოდგენენ მოელს საქართველოს. პროვინციიდან მოსული ცნობები საშინელ სურათს გვიხატავენ ეპიდემიის გავრცელების შესახებ. ამიტომ დაუყონებლივ უნდა იქნეს გადაგზავნილი წამლები [illegible] ში. ამისთვის [illegible] ბულ იქნას [illegible] მედიკო-სანიტარული განყოფილების მინისტრისა, რომელმაც ხელფეხი შეუბორკა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მედიკო-სანიტარულ განყოფილებას და რომელიც მძიმე ლოდივით აწევს ამ ეპიდემიის დროს ხალხის ჯანმრთელობის საქმეს. წინადადებულ შემთხვევაში მთავრობამ უნდა გადასდგას სათანადო თანხა, რომ შეიძლებოდეს წამლების ყიდვა მომარაგების კომიტეტიდან. მდგომარეობა სერიოზულია; დაყოვნება შეუძლებელია.

საქართველოში არსებობს 37 ქსენონი და 34 საფერშლო პუნქტი. ეს ქსენონები და პუნქტები თანასწორით არიან განაწილებული სხვადასხვა მაზრებში და მათი ნორმალური მუშაობა დაუფასებელ სამსახურს გაუწევს ჩვენს სოფელს ამ შავბნელ ხანაში.

მომარაგების კომიტეტიდან ქსენონებისათვის წამლების მიცემის საკითხი ადგილობრივად რომ გადაწყდეს, ეს მაინც ვერ გამოგვიყვანს გაჭირვებიდან, რადგანაც ამ საწყობებში ბევრი წამლები სულ გამოელია და ბევრიც ძალე გამოელევა. ამიტომ სასურველია ქართული წითელი ჯვარი დაეხმარებოდეს ჩვენს სოფელს წამლებით ამ საშინელი ეპიდემიის დროს. ექ. ნ. რუხაძე.

დიმიტრი მორჩილაძე

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ოზურგეთში გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე ამხ. დიმიტრი მორჩილაძე. საძმიმო და მეტად საწუხარია ამხ. დიმიტრის დაკარგვა მეტადრე ამ დროს, როდესაც ასეთები ჩვენში ცოტანი მოიძებნებიან. ამხ. დიმიტრის მეტ ნაწილად იცნობდენ გურიის აღმოსავლეთ ნაწილში. იცნობდენ მას აგრეთვე თფილისში მოუშუშავე ამბანაგებიც. 1904—1907 წლამდე დიმიტრი თფილისის საქონლის სადგურის მუშებში ცნობილი იყო, როგორც იდეიური მუშაკი და საუკეთესო ორგანიზატორი. ლეგალური მუშაობა განსვენებულს სულ ცოტა ხანს ხვდა წილად. მას უხდებოდა ჩუმი, ფარული მუშაობა შავბნელ რეაქციის დროს—რასაც ეს არა ერთხელ დაუპატიმრებიათ და შეტების ციხეში მოუთავსებიათ. დიმიტრი ვერ ასცდა ვერც ადგილობრივ ტოლმაჩოვების ბრალსმდებლობას და როგორც არა საიმედო პიროვნება, ვიატკას გუბერნიაში იქნა გადასახლებული. კარგად იცნობდენ დიმიტრის ბაქოს მუშებიც, ვინაიდან ქ. ბაქოში მუშაობა მას მეტ ხანს უხდებოდა, ვინემ თფილისში. სადაც და რა პირობებშიაც არ უნდა მოხვედრილიყო განსვენებული, მას არ შეეძლო უორგანიზაციოდ გაჩერება, მასი თავგანწირული ეს ვიწრო პარტიული ჯაფა იყო. სადაც ასეთები არ არსებობდა, თითონ ცდილობდა მოეწყო. ამ მხრივ მისი მუშაობა ყველგან ნაყოფიერი რჩებოდა. გურიაში დამბრუნებისას ის შეეცადა თითო-ოროლა ამხანაგებთან ერთად პარტიული „ბოჩეკების"-ს მოწყობას. 1917 წლის რევოლიუციის პირველ დღეებში აკეთის რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივმა და ალმასრულებელმა კომიტეტმა დიმიტრი სამოგადოების კომისარად აირჩიეს, სადაც მან დაიმსახურა მთელი სამოგადოების ნდობა და ს

ბან დაადგინა მიეცეს წინადადება ამ მოკლე ხანში წარმოადგინონ სრული ანგარიში და აგრეთვე არჩეულ იქნა საფინანსო კომისია სამი პირისაგან: ამბ. ანანეული, გველესიანი და ვალ. ვა ზაკაძე. სანიტარულ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამბ. მკერდლიშვილმა. აღნიშნა, რომ პირველად ჩვენსა ეტაპზეგიულმა მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო და სახლის პატრონებიც ანგარიშს გვიწევენენ, მაგრამ შემდეგ კომისიამ მუშაობას ხელი შეუშვა და ანაო ისარგებლეს ზოგიერთმა სახლის პატრონებმა—არც მეზოგეებს ქირაობენ და ნაგავს ღამე ანქეზში ყრიან, ან და მახლობელ მინდორსეო. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: მიეცეს წინადადება სანიტარულ კომისიის წევრებს გამოახალონ მუშაობა მე 12 კომისარიატთან და სანიტარულ სამმართველოსთან ერთად, რათა დაცულ იქნას სისუფთავე.

კრებაზე მოვიდა ორი მეშა სანიკელადგ. რიგს გარეშემო მიეცათ უფლება ეთხოვნათ თავიანთი ვარიანი. ამბ. იაკ. მინინგაშვილმა განაცხადა, რომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგვყენა ჩვენმა ახალმა სახლის პატრონმა, მოსვენებას არ გვაძლევდა—ვინდოთ თუ არა, ოთახი დაგვიცალეთ და ხეცა ვინდოთ, იქ ზალიანი. ამის შესახებ ამბ. გრიგოლი განმარტა, რომ მე თითონ ვიყავი ბაბ. საქმის მოსაწესრიგებლად, და როდესაც მიეცა ამ ოთახის სანაცვლოდ, საიდანაც სახლის პატრონი ირბევდა ამბ. გადასვლას, ყოველდღე შეუძლებელია იქ ცხოვრება—ბ. სოკოლოვს (სახლის პატრონს) ანგარიშებს მხოლოდ დაგვერეკის გაძარცვა. ანაგიორი სისუფთავე არ არის დაცული და სხ. ეს სოკოლოვი ყოფილა დასაძებული სფრანგის მხარეს და ეძებენ, როგორც არა საიმედო პირი, ოფლისში გადამბარგული, უყიდია სახლი ჯერ ფოთის ქუჩაზე № 23, სადაც ოთახები ჰქონია გაქირავებული 90 მან.—150 მან. მას ალბათ მადა ეღებრა მდგომარეობის ყველაფისა, და შეიყიდა ბეორე სახლი გორის ქ. № 2/5 და აქაც სურს დაითმიოს ძველი მდგომარეობა და ახლებზე გაიქირავოს ზეტ ფასებში.

კრებამ დაიგალა ამბ. გრიგოლს სანიტარულ კომისიასთან ერთად გამოარკვიონ ყველაფერი.

ფინანსიური სახარის გამოძებნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამბ. გრიგოლმა. მან სთქვა, რომ ჩვენ ბევრი ეფექტეო, მაგრამ ვერავითარი წარმა ვერ გამოვნახეთ და იქნება თქვენის დახმარებით შეძლოთ რასმენ გამოძებნა. ამბ. მკერდლიშვილმა სთქვა, რომ ჩვენ შეგვაძლია გავმართოთ წარმოდგენა და იქიდან შემოსული თანხა იქნება ერთიდროული დახმარება, ვინ. გაბაკიძემ სთქვა: ჩვენ ვასრულებთ რაიონულ სახეს ფუნქციებს, ვეხმარებით ცენტრს, ცენტრი კი ბოლოს გაგვიწევს ფულით ეხმარებაში. წარმოდგენის მოწყობის წინადადება არც ერთ წე გარი. ჯერ კრებას არ ჰქონდა კიდევ გადაწყვეტილი, რომ ქუჩაში გადარეკა თოფი, რასაც ეძახეენ „ბალპა". ყველანი გაბედეთ გამოვედით ამბის გასაგებად. დაწვრილებით ვერაფერი გავიგეთ; ბნელოდას მოცალეული ვერ მოფუნ ლებით დაწყარეულ წყობილებ და ასეთი გამოსვლებით ხელი დაინგრიონ ის, ბიგრამ ბიბნს ვერ ბალწვევენ.

მეთავადყურე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისა. 6 ნოემბერს ბინდა თფილისის სოც.-დემ. მუშათა პარტიის კომიტეტის სხდომა. დაადგინა კომიტეტის სრული განახლებული შემადგენლობა, რიცხვით 20 კაცი. ეს პირველი სხდომაა ლიდან კომიტეტის არსებობისა, რომელსაც სრული შემადგენლობა დაესწრო. დღის წესრიგში იყო კითხვები: ახალი პრეზიდიუმის არჩევა, მოამავალ პარტიულ ყრილობის შესახებ, შტაბის რეორგანიზაცია, მიდეკონერთა ცალკე პარტიული ამა თუ იმ სახის ორგანიზაციის დაარსება, ეროვნული გადასახადის გადაგება, მომავალ პარლამენტის წევრების დასახელება თფ. კომიტეტის მხრივ. კრების ბნის კომიტეტის წევრი ტარონელიძე. ის ეფუძნა კრებას დღის წესრიგს, რომელიც უცვლელად რჩება. სიტყვას ეძლევა ამბ. რ. ჩიხლაძე. „ეს ბინდი ვნიკეა, ამბობს ის, რომ სამან პრეზიდიუმი ავარჩევდეთ, ბეღვნეტი არ ეფრება გაეცინოთ კრებას, თუ რა ფინდ აკეთის ბინ. ეგ არ ჰქონია საშეალება ყველა კრებას დაესწრებოდა, მაგრამ როდესაც ვიკი პრეზიდიუმი თვეის სიმაღლეზე, ვერ იტეკ, რის გამოც პარტიულ მუშაობას საათნოდ უფრიდეს არ ჰქონია მიეცეს. არც ერთ კრებაზე პრეზიდიუმი არ წარმოდგენილა ერ კაეული სახით, არ ჰქონია ერთხელ თვეში ანგარიში, არ შეუდგენია წინასწარი მოწვევა ყველა და სხვა. ჩვენ პრეზიდიუმი კომიტეტის შესაბამ, წინამდებარეობ და ლოგ ხომ ისეთია, რომ ჩვენ სწორი შესაბამ და ხელმძღვანელი გვეპარება, რომელიც ფნდი ბოდეს, ბოიბინის ფდის შესაფერი

კითხვები და ისე შემოიტანოს კომიტეტში. ამ საქმეს უნდა მიხმარდეს მთელი ჩვენი ძალა, ბაქსიმუმი ჩვენის ენერგიისა. თუ დღემდე პარტია გაერდაზე ბოგდებული ფორმა, ახლა სამეგიერთო უნდა შეუდგეთ მის აღმოჩენებას და ფლარძანეს. ბოგ ამით საქმე სასურველ ნიადაგზე დაეაყენოთ. ამბ. ბერიტაშვილი ამბობს, რომ ყოველდღე მიზნ მიეწყობა სასურველად, რაც ჩვენ შემოვიღებთ სრულ დემოკრატიზაციას, ე. ი. რაიონული პირდაპარ შეიღებენ მონაწილეობას ამა თუ იმ პირების საპასუხისგებლო პოსტებზე ასარჩევად. ამბ. ბუსია: თფილისას კომიტეტს უნდა ჰყავდეს ისეთი პრეზიდიუმი, რომელიც ტონს მისცემს მთელს პარტიულ მუშაობას ადგილობრივად, ამასთანავე, რომ სასურველთ მოგეწყოს პარტიული მუშაობა, მას ეფუძნებოდეთ მიანნა პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ისეთი პირები, რომლებსაც მეტი თავისუფალი დრო აქვთ. რაც შეეხება ბოგიერთების აზრს, რომელიც, უნდა ვსთქვა, რომ ამ კითხვას სულაც არ ეხება,—თითქოს უბალეული ხელმძღვანელი ორგანიზაციები თითონ სწყვეტენ საპასუხისგებლო საკითხებს—ეს სიმართლეს მოკლებულია. ბაგალიანისათვის ორატორს მიაჩნია ჩვენი პარლამენტის ფრაქცია, სადაც ყმრავლობა თანამეგზის მუშეგია. ამბ. სარდიონ თევზაძე ამბობს, რომ თფილისის კომიტეტის წარმომადგენლებს იმდენი შეუნეხა კი შეესწავლ, რომ ორგანიზაციული მუშაობას ეწეოდენ. რაც ეანება ბევრი საქმე დაეარჩეს პრეზიდიუმს, ის კვარაში ერთობელ მაინც შეიკრიბება. ჩვენ ფნდა ავირჩიოთ ისეთი ხალხი, რომელსაც სურვილი აქვთ მუშაობის. რაც შეეხება მუშების და ინტელიგენტების გაერთიანებას, ესო, ამბობს ამბინაგი, ამით კი არ მოხდება, რომ ამბ. ბერიტაშვილი მიგვითითებს, ის გზა უფრო გაითიშავს და დაბაზარეს მათ ერთმანეთს. კიდევ ეკიეთრეს, ჩვენთვის საჭიროა ნამდვილი მუშაკები და საქმის მოყვარულები. ბერიტაშვილი: აქ ფასიყოფდეს ბენ ჰაუს. ჩვენ ეს ფასიყოფდეს, მაგრამ ნება მიბრძანეთ კითხვა—რას აკეთებენ თითონ კომიტეტის წევრები? ვანი ის შეკრებილა ოდესმე ეწესიერათ? ყოველ მის სხდომას შეიდი თუ რვა კაცი ესწრებოდა. იქნებ ესეც პრეზიდიუმის ბრალია?

შემოდის წინადადება კამათის შეწყვეტისა, რომელიც მიღებულ იქნა. ამბ. თევზაძეს შემოაქვს წინადადება, რომ სანამ პრეზიდიუმი აირჩეოდეს, საჭიროა ეცადეთ, ყოველნი თუ არა მას საკუთარი ბლიანი. თუ არა,—ბაშინ კომიტეტის მდგომი, რომელიც არ არის წარმომდგენილი რაიონიდან კომიტეტში, უნდა შეეყვანოდ იქნენ უკანასკნელნი, სრული უფლებით, ვინაიდან შეუძლებელია ის იყოს პრეზიდიუმის წევრი და ხმის უფლება კი არ ჰქონდეს. ერთი ხმის წინადადება კომიტეტი ადგენს: შეიკვანოს სრულ უფლებიან წევრად პრეზიდიუმში კომიტეტის ბლიანი, ამბ. სინიურიძე, რომელიც ამავე დროს იქნება პრეზიდიუმის ბლიანიც.

შემდეგ ასახელებენ თავმჯდომარეს. დიდი ხმის უმეტესობით, ფარული კენჭის ყრით, თფილისის კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამბ. გიორგი ბახტაძე, რომელიც იკავებს თავის ადგილს. შემოდის წინადადება პრეზიდიუმი შესდგებოდეს ხუთ კაცისაგან და ვინაიდან ორი უკვე არჩეულია, არჩეულ იქნეს კიდევ სამი კაცი. ხუთ შორის ადგილების განაწილება თვით პრეზიდიუმს მიენდოს. ეს წინადადება მიღებულ იქნა. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ: სარდიონ თევზაძე 12 ხმა, რაფიელ ჩიხლაძე 11 ხმა, მიხეილ ტორნოშვილიძე—10 ხმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) ვინც საჯარო ბედიანად კრების არ დასწრება და არც საპატიო მიზეზს წარმოადგენს, თუ რისთვის ვერ მოახერხა დასწრება—ეს კომიტეტიდან ერიცხება. მის ადგილს იკავებს შემდეგი წევრი, რომელმაც შეტი ხმა მიიღო რაიონის არჩევნებში. 2) ქვორუმს შეადგენს უბრალო უმრავლესობა (ნახევარზე ერთით მეტი წევრებისა) 3) კომიტეტის სხდომების დღე არის სამშაბათი, 4) კრება იხსნება ხუთშაბთის სრულ 6 საათზე, 5) თუ ქვორუმი 6 საათზე არ გამოცხადდა, უკიდან ხმოლოდ 15 წუთს, რის შემდეგაც მოსული წევრები მიდიან, 6) ყველა შეხვლაში ოფიციალურად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში და საყალდებულოა ყველასათვის.

მომავალ პარტიულ ყრილობის შესახებ სიტყვას ეძლევა ამბ. რ. ჩიხლაძე. ჩვენი ყრილობა, ამბობს ის, ხდება არა ჩაუფლებრივ პირობებში, მაგალითად, მუშაობაც განაკეთრებული უნდა იყოს, გარდა იმისა, რომ ჩვენი მუშები უნდა ესწრებოდენ ყრილობას, საჭიროა მისი ტენიკურ მხარეების მოწყობასაც მიექცეს ყურადღება. ყრილობას უნდა მიეცეთ ნამდვილი დღესასწაულის ხასიათი, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში ხდება. ორატორი იძლევა წინადადებას არ

პროვინცია

ხ. ხაბანი. (გურია) ეს სოფელი ექიმობისა და ეაზლის მხრით არასოდეს არ ყოფილა უზრუნველ ყოფილი, მაგრამ რაც დღეს ამას ადგა, ეს ყველას აღემატება. ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა ეს რაღაც „ისპანკაა" და ხალხი დიდ საგონებელში ჩააგდო. საქმე იმაშია, რომ ეს ავათმყოფობა, როგორც სჩანს, ადვილად რთულდება, გადადის სხვა და სხვა სერიოზულ ავათმყოფობაზე, როგორიც, არის მაგალ., ფილტვების ანთება, მუცლის ტიფი, პლევრიტი, რაც უმიტეს შემთხვევაში სიკვდილით თავდება. რამოდენიმე ახალ გაჩენილ უკვე ამსხვერპლა ამ პატარა ხანში და ეხლაც დღე არ გადის, რომ ვინმე წუთი სოფელს არ გამოსალმოს. ჩვენი უბედურება მით უფრო უარესია, რომ ექიმი და წამალი აქ სანთლით საძებარია. ერთად ერთი ფერშალი მისი გამოცალიერებული საფერშლო პუნქტით, ძალიანაც რომ მოინდომოს, რას გახდება ასეთ დროს. ამბობენ, ისიც ამ ბოლო დროს ძალიან უგულოთ და ზერელეთ ეკიდება თავის მოვალეობას ასრულებასო: აქეთ და ჯამაგირს დროზე არ გაძლევენ და რათ უნდა ვიშაბურეოვო.

რაც შეეხება ექიმს, მთელ ვეებერთელა რაიონტურის რაიონში ხმოლოდ ერთი მთავრობის ექიმია და ამა რას გახდება ამოდენა რაიონში ერთი ექიმი. მან ამბულატორიაში იმუშაოს, თუ სოფელში იაროს? არის ამ რაიონში ერთი-ორი კერძო ექიმიც, მაგრამ ჯერ შენს დროზე სად იშოვნი და მერმეთ მათი მოყვანა ასეთ შორეულ ადგილზე ძალიან ძვირი ჯდება. ვთქვათ, ყოველივე ეს მოახერხა და შესძლო ავადმყოფის პატრონმა. ახლა წამლის შოვნა უნდა თავ სატეხია. „რა ქენა,—მეუბნება ერთი ექიმი,—დავდიეარ ამ სოფლიდ, მოსვენება არა მაქვს, ხალხი ახარჯავს, ფულს ამაძლევს და მე კი მას ვერას ვაკეთებ მარტო ჩემი რეცეპტებით. წამალი სრულიად არ იშოვება, ან ჩვენი აფთიაქები რას აკეთებენ და რას არა, ღმერთმა უწყის.—მე რომ გამოიყვანე, აფთიაქში რაღაც სულ სხვა მიეცითო—მეუბნება მეორე და ასე ბოლომდის.

ნეტა როდის იქნება, რომ ჩვენი ერობები ო�ეწყობა და, სხვათა შორის, და ყველაზეთ უშინ სოფლად ექიმების საქმეს მოაწესრიგებს? მაგრამ მანამდის ვაონებ ბევრი წყალი ჩაივლის და კიდევ ბევრი გავიგაგრება უდრეგოთ საიქიოს.

ამბობენ, ჩვენს მთავრობას წამლები ბევრი აქვს საწყობებში, მაგრამ უცოდინ ერობების მოწყობას, რომ ამ უფრო საიმედო ორგანიზაციას გადასცეს ისი და სხ. ეს ძალიან კარგი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ერობებს ა'ე არ უცდიან ავათმყოფობა და, განსაკუთრებით ეს რაღაც ახირებული „ისპანკა" და სანამ მეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყეში ალარ შერჩებ.

ნ. რ—ლი.

წერილი რედ. მიმართ

გულთანად მადლობას ვუცხადებ ადგილობრივ არსენალის და ბოტანიკურ ბაღის უფროსებს და აგრეთვე ადმინისტრაციას ამ ყურადღებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელიც გაუწიეს მათ ჩემდამი რწმუნებულ თფილისის საშეალო სატყეოსკო სასწავლებლის მოწაფეთა ექსკურსიას ამ დაწესებულებათა დათვალიერების დროს.

ინე ვ. კაკაბაძე.

განცხადებანი

ამხანაგ. საუურადღებოთ

7 ნოემბერს ტრამვაის ბაქანზე ჯიბიდან აზომაკალის საფულე, რომელშიაც ფულის (196 მ.) გარდა იყო სოც დემ. პარტიის „იავკა" 1905 წ. გთხოვთ შეიტ ქციოთ ყურადღება, რომ ამ „იავკით" ბორტოლთ არ ისარგებლოს ვინმემ.

ალ. წულაძე.

იყიდება
სახლი ოთხ ოთახიანი.

მიმართეთ: ნაძალადევი, ელადიმერის ქუჩა (ბოიდანის ახლო წყალსადგენი („ვოდოპროვოდი"-ს) გაგზავნილ).

2—2 გიორგი ჯავახიშვილი.

საკურნალო კაბინეთი
ძველ ალექსანდრეს დავითის ძის
კეკელიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშვებენ). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის ბროლ-პეტერ, № 116, სასტუმრო „ნორ"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
დავითაძე ალექსანდრეს ძე ფოლადანია

ლიბერალი და განიანლი ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, ხაზარდი მიღის სიფილიზი. სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშვებენ. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: ბორის ქ. (ფიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტალისა და ვენეციის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ № 32.

ბინა ქირაოდ ეძლევა
ბულევარ ალ. ბ. შეიფლო-ხაბაშვილი

ფუდიციინის დოქტორი ტენეფის უნივერსიტეტისა და ეიდინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამ. 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
ლ. ა. სარალიძე

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ოგეპოლის ოფდიტორიის ახლო.

ექიმი
ალ. ნ. ფალილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ფორონკოვის ხიდის ახლო).

ექიმი
ლ. ა. სარალიძე

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ოგეპოლის ოფდიტორიის ახლო.

ექიმი
ალ. ბ. ბეიფლო-ხაბაშვილი

ფუდიციინის დოქტორი ტენეფის უნივერსიტეტისა და ეიდინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამ. 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
ალ. ნ. ფალილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ფორონკოვის ხიდის ახლო).